საქართველოს მთავრობის

დადგენილება №543

2020 წლის 27 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის №325 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის №325 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/06/2018, 300160070.10.003.020640) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული დიოქსინებისა და ფურანების, ჯამური ორგანული ნახშირბადის, ქლორწყალბადისა და ფტორწყალბადის მონიტორინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისა, ასევე ინსინერაციისა და თანაინსინერაციის არსებული საწარმოებისთვის ჩამდინარე წყალსა და ატმოსფერულ ჰაერში ემისიის ნორმირებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა, ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 31 აგვისტოდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**